ოთხმოც წელს გადაცილებულ ცოლ-ქმარს სოციალური დახმარება შეუწყვიტეს

ალიონი. სოფელ ლიხაურში (ნიაბური) მცხოვრებ, 80 წელს გადაცილებულ, ჯანმრთელობა შელახულ ცოლ-ქმარს სულიკო და ეთერ გობრონიძეებს, უფროსი სოციალური აგენტის ვიზიტის დროს მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, შეუწყვიტეს სოციალური დახმარება მიზეზით „ოჯახი ხელოვნურად არის დაყოფილი“.

ამის შესახებ „ალიონს“ ბატონი სულიკოს ბიძაშვილმა, სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ და მოქმედმა ადვოკატმა, ბატონმა რევაზ გობრონიძემ აცნობა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სამხარეო ცენტრის უფროსმა სოციალურმა აგენტმა **ავთანდილ ზაქარიაძემ** „ალიონთან“ საუბარში განაცხადა: „მივედი ოჯახში და ვნახე, რომ მასთან იმყოფებოდა შვილიშვილი, შვილისშვილის ცოლი და შვილთაშვილი, გავიგე, რომ ისინი 8 თვეა იქ იმყოფებოდნენ. შვილიშვილის მასთან ყოფნის სურვილი თვითონ სულიკო გობრონიძემაც დაადასტურა.

როდესაც ბენეფიციარის ოჯახში ცვლილება მოხდა, წესით მას უნდა ეცნობებია სოციალური სამსახურისთვის. დაფიქსირებული ცვლილების გამო შეუჩერდათ სოციალური დახმარება. ახალი განაცხადით უნდა მიმართონ სააგენტოს, მოხდება ხელახალი შემოწმება და მიღებული ქულების მიხედვით გადაწყდება გაუგრძელდებათ თუ არა სოციალური დახმარება.“

83 წლის უკვე ყოფილი ბენეფიციარი **სულიკო გობრონიძე,** რომელსაც მეხსიერების პრობლემა აქვს, ამბობს: „მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობთ აქ, აბა ამფერ ხუხულაში მეტი ვინ იცხოვრებს. კი, შვილიშვილები და შვილთაშვილები მსტუმრობდნენ, არც დამიმალავს, იგიც ვუთხარი, არ აქვთ უფლება ბაბუასთან რომ მოვიდნენ-მეთქი?! გუშინ ბრმა ცოლისძმა მეწვია, რა ვქნა, გავაგდო გარეთ და არ მივცე თავისი დის ნახვის უფლება? მერე მომივიდა წერილი, რომ მომიხსნეს დახმარება.“

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №22 (10112), 1 ივნისი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

1 ივნისი, ამ ჯვუნად ყველაზე ლაღ ლალეჭა და ეულოწვილეჭ, ბავშვეჭ ქინდა ქივულოცო! ღლეს თქვენი ღლეა ბაცალეჭო! ნათელ და ნაბმაცეჭულ ქოქალთან ერთად, ქინდა ყთვალავი ლიქილიანი და ქხიაბული ღლე ვინყოვთ! ყიდევ ერთხელ ვულოცავ ყველა ბაცალეს ბავშვთა საერთაშორისო ღლეს!

გია სალუქვაძე,
გურიის გუბერნატორი

დ

ანასეულში რადიაციის საფრთხე არ არსებობს!

25 მაისს საია-ს მიერ ორგანიზებულ შეხვედრას, რომელიც ანასეულში რადიაციული კერის არსებობას ეხებოდა, ქალაქის მერის მხრიდან, დაპირებისამებრ, მყისიერი რეაქცია მოჰყვა. ბეგლარ სიორიძის ინიციატივით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინ-

გვ-2

ინტერვიუ აქტუალურ თემებზე

გია სალუქვაძე: გურიის განვითარების პერსპექტიულ გეგმაში შეიძლება გარკვეული ცვლილებები, დამატებები და კორექტივები შევიტანოთ

– ბატონო გია, მოგესალმებით! სამი კვირაა, რაც გურიის გუბერნატორი გახდით. ჩემი აზრით, უკვე შეიძლება შთაბეჭდილებებზე საუბარი: რას ელოდით და რა დაგხვდათ გურიაში?

– გურია რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ყველასგან და ყველაფრისგან რატომღაც მიტოვებული აღმოჩნდა, ეს ჩემთვის ცნობილი იყო იმდენად, რამდენადაც წარმოშობით აქაური ვარ, აქ მაქვს ძირი, სახლიც, აქ მყავს ნათესავები და ყველაფერს საკუთარი თვალით ვხედავდი, მაგრამ ყოველივე ამას, შეიძლება ითქვას, სუბიექტური და ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გურია თავის დროზე მაღალგანვითარებული მხარე იყო, რასაც ძირითადად განაპირობებდა მეჩაიეობის დარგი. ჩაის გადამამუშავებელ საწარმოებთან ერთად, აქ წარმატებით მუშაობდა აბრეშუმის ძაფსახ-ვევსაგრეხი ფაბრიკა, სამთო ქიმიის, საკონსერვო, ჩაის მრეწველობის მანქანათმშენებელი და სხვა ქარხნები, რომელთა უმეტესობა დღეს, სამწუხაროდ, იავარქმნილია.

სხვათაშორის, გუშინ დავიწყეთ ამ ობიექტების ფოტოგრაფირება, 100-მდე სურათი გადავიღეთ უკვე. მათი შეძენის შემდეგ კერძო მესაკუთრეებს არანაირი ვალდებულებები არ აქვთ შესრულებული. ახლა ვადგენთ ვისია, რა პირობებით იყო გასხვისებული. ვერც ერთ რეგიონში ვერც ერთი ქალაქი და მუნიციპალიტეტი ვერ განვითარდება, თუ ზუსტად არ გვეცოდინება ვითარება.

ამ სამ კვირაში რაც მოვასწარი, დავათვალიერე ქალაქ ოზურგეთში მიმდინარე როგორც ინფრასტრუქტურული, ისე ნაპირსამაგრი მშენებლობები, ასევე დავათვალიერე ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის სამუშაოები. გრანდიოზული დასაწყისია, თუმცა გასაკეთებელი უამრავია.

როგორც იცით, 17 მაისს ჩვენთან, მცირე სამთავრობო ჯგუფის თანხლებით, პრემიერ-მინისტრი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი იყო ჩამობრძანებული, საუბარი გვქონდა გურიის განვითარების პერსპექტიულ გეგმაზე, ასევე ჩატარდა თათბირი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან, სადაც დაისვა მყისიერად გადასაწყვეტი უამრავი საკითხი. უნდა გითხრათ, რომ ამ შეხვედრებზე დასახული ყველა დავალება უკვე შესრულების სტადიაშია.

გურიაში ადამიანური რესურსი საკმაოდ მაღალკვალიფიციურია და შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ყველა პროექტის განხორციელება. ჩვენი ინიციატივით, ცენტრალური ხელისუფლების წინაშე ვაყენებთ ამ პროექტების ამ გზით განხორციელების საკითხს, რათა შევუმსუბუქოთ სოციალური ყოფა ჩვენს მოსახლეობას. ყველაზე დიდი მტერი და გამოწვევა, რაც აქვს საქართველოს ყველა რეგიონს, ეს უმუშევრობა და სიღატაკეა და უპირველესად ამას უნდა ვებრძოლოთ.

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვეორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ანასეულში რადიაციის საფრთხე არ არსებობს!

ისტროს რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლები ოზურგეთში 29 მაისს ჩამოვიდნენ და ანასეულში ყოფილი ფიზიოლოგიისა და რადიოლოგიის ლაბორატორიის მიმდებარე ტერიტორია მედიის წარმომადგენლებთან ერთად მოინახულეს.

როგორც ხსენებული დეპარტამენტის ინსპექტირებისა და რეაგირების განყოფილების ხელმძღვანელმა ჯუმბერ მამასახლისმა და უფროსმა სპეციალისტმა გიორგი მასპინძელაშვილმა აღნიშნეს, ეს ტერიტორია ამერიკის ენერგეტიკის დეპარტამენტის პროექტის ფარგლებში 2013 წელს, ყველა საჭირო აპარატურითა და მაღალპროფესიონალი სპეციალისტების 30-კაციანი ჯგუფის თანხლებით შეისწავლეს. ადგილზე 25 რადიაციული ლაქა და 3 რადიაციული წყარო აღმოჩნდა. სამივე წყარო ანასეულიდან მაშინვე გატანილ იქნა, ხოლო ნიადაგი, რომელშიც რადიაციული ლაქები იყო კონცენტრირებული, იქვე, უსაფრთხოების ყველა სტანდარტის დაცვით, სპეციალურ ბეტონის საფარში იქნა კონსერვირებული.

როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანი რადიაციის მაჩვენებელი: 500 მილიზივერტია. ხოლო სტანდარტულ და უსაფრთხო ნორმად 1,0 მილიზივერტი ითვლება. ანასეულში კი სპეციალისტებმა სპეციალური აპარატურით სწორედ 1,0 მილიზივერტი, ისიც მხოლოდ ბეტონის სათავსოსთან დააფიქსირეს. შესაბამისად, დარწმუნებით და ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ანასეულში რადიაციული ზონა არ არის და მოსახლეობის ჯანმრთ-ელობას საფრთხე არ ემუქრება.

ჯუმბერ მამასახლისის განცხადებით, ბეტონის აღნიშნული სათავსო დროებითია და გარდაბანში სოფელ სააკაძეში რადიაციული ნარჩენების სამარხისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების შემდეგ ანასეულში კონსერვირებული რადიაციული მიწა სოფელ სააკაძეში იქნება გადატანილი.

ანასეულში ვიზიტის შემდეგ რადიაციული დეპარტამენტის წარმომადგენლები ქალაქ ოზურგეთის მერს, ბეგლარ სიორიძეს შეხვდნენ. მერის შეკითხვის შემდეგ, თუ რა ზომების გატარებაა საჭირო ქალაქის მერიის მხრიდან, სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ სასურველია თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე საინფორმაციო ნიშანი დაიდგმება. ხსენებულ ნიშანს ქალაქ ოზურგეთის მერია უახლოეს მომავალში დაამონტაჟებს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ანასეულთან დაკავშირებით ოფიციალურ დასკვნას უახლოეს დღეებში გამოგზავნის. ჯუმბერ მამასახლისის და გიორგი მასპინძელაშვილის განცხადებით კი, სურვილის შემთხვევაში, ისინი მოსახლეობისთვის საინფორმაციო შეხვედრას ჩაატა-რებენ, რათა ყველა შეკითხვას ნა-თელი მოეფინოს და მოსახლეობას უსაფუძვლო შიში გაუქრეს. აღ-ნიშნული შეხვედრის ორგანიზებაზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალ-იტეტის მერია იზრუნებს.

ტრაგედია ჩაქვის გზაზე

ტრაგედია დატრიალდა დაბა ჩაქვში. ავტოკატასტროფაში მოყვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლის სოფ. ჭანიეთში მერაბ ბერაძის ოჯახის წევრები, რომლებიც მსუბუქი ავტომანქანით „ნისან მიკრათ“ მგზავრობდნენ. როგორც შეგვატყობინეს, „ნისან მიკრა“ სატვირთო თვითმცლელს შეეჯახა. გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით ავარიის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა. გარდაცვლილია ორი ქალბატონი, ერთი მცირეწლოვანი ბავშვი. ორი ადამიანი დაშავებულია, რომლებიც ქ. ბათუმის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს.

ნორჩ მევიოლინეთა ფურორი

ალიონი. 28 მაისს, ოზურგეთის მუსიკალურ სკოლაში ნორჩ მევიოლინეთა კონცერტი გაიმართა.

სამუსიკო სკოლის ვიოლინოს პედაგოგის ხათუნა ცხომელიძის (კონცერტმაისტერი მედეა კალანდარიშვილი) კლასის ათივე მოსწავლე საინტერესო პროგრამით წარდგა სკოლის პედაგოგების, მშობლების და მოწვეული სტუმრების წინაშე.

უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობა პირველკლასელი იყო, რომელთაც არ ევალებათ კონცერტში მონაწილეობა, მაგრამ პედაგოგის შრომამ ნაყოფი გამოიღო.

მოსწავლეებმა შეასრულეს ქართველ და ევროპელ კლასიკოს კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მევილიონეტა ანსამბლა მოცარტის „მენუეტი“ შეასრულა.

ამ საინტერესო კონცერტს სიურპრიზიც ახლდა. კლასის პედაგოგმა ხათუნა ცხომელიძემ კონცერტის ბოლოს მონტის „ჩარდაში“ შეასრულა.

განცხადებები

იყიდება გადასატანად წაბლის ოთხოთახიანი სახლი და თელავის მარმარილოს თეთრი „კროშკა“.
ტელ. 568 400 366.

იყიდება 3-ოთახიანი ბინა გაგარინის ქუჩაზე, ავტოფარეხისა და საბოსტნე მიწის ფართებით, ხუთსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე. გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად.
ტელ. 574 099 219.

ოთხმოც წელს გადაცილებულ ცოლ-ქმარს სოციალური დახმარება შეუწყვიტეს

ეთერ გობრონიძე, სულიკო გობრონიძის მეუღლე, 81 წლის: – სამი შვილი გავზარდეთ. უმცროსი ვაჟი მერაბი 15 წლის წინათ გარდაიცვალა. გოგო მერიაშია გათხოვილი. მეორე ვაჟი ოც წელზე მეტია, ცალკე ოჯახში ცხოვრობს. ის ბიჭი იმ დღეს ჭიშკართან შემხვდა, ეზოდან გამომავალი თვალში არ მიჩანს კარგად, მარა მივხვდი, სტუმარი იყო. სოციალური აგენტი ყოფილა, მივესალმე, სტუმრობის მიზეზი ვკითხე და სახლისკენ შევიპატიჟე. მადლობა მითხრა, თქვენს მეუღლესთან გავარკვიე უკვე ყველაფერიო. ასე გაურკვევია. შვილიშვილებს ხომ არ ავუკრძალავ მოსვლას. ამისთანა არაფერი გამიგია.

რევაზ გობრონიძე: – ვაპირებ პროკურატურაში სარჩელის შეტანას. სოციალურმა აგენტმა სამსახურებრივი

მოვალეობა შეასრულა ლოიალურად, ზერელედ. მის მიერ შედგენილი მცდარ საბუთს მოჰყვა ამ ორი ადამიანისთვის სოციალური დახმარების შეწყვეტა. მთელმა სოფელმა იცის, რომ ოც წელზე მეტია, ეს ორი პიროვნება წარმოადგენენ ცალკე კომლს, არიან 80 წელს გადაცილებულები, ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებულები. ცხოვრობენ ფაქტიურად მიწურში, არ გააჩნიათ არანაირი შემოსავალი. არ აქვთ არც მაცივარი, არც საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ინვენტარი. არ ჰყავთ ფრინველი და პირუტყვი. მასთან ახლოს, ცალკე ეზოში ცხოვრობს შვილიშვილი, რომელსაც ბაბუასთან მტრული დამოკიდებულება აქვს. სახლი რომ აქვს, ამაში სულიკოსაც მიუძღვის წვლილი, მაგრამ ეზოშიც არ უშვებენ.

ხანდახან სოფელ მერიიდან ამოდიან გათხოვილი ქალიშვილის შვილები, რომელთა ოჯახიც სოციალურად დაუცველია.

თვით სულიკო არის წერა-კითხვის უცოდინარი, ხელის მოწერის მეტი არაფერი იცის, 85 წელს მიტანებულია, გაფანტული გონებით, რომელი წელია და რომელი საუკუნეას, ვერ გეტყვის წესიერად. გულუბრყვილო კაცია. ყოფილმა პოლიციელმა აბესალომ მგელაძემ „ლიბერთი ბანკში“ მიიყვანა ხუთი თვის პენსია გამოატანინა, გამოართვა და დღემდე არ დაუბრუნებია.

ასეთი ადამიანისთვის აგენტს უნდა აეხსნა, რისთვის ამოწმებდა. მან კი მხოლოდ ის ფაქტი დაადგინა, რომ ოჯახში შვილიშვილი იყო მისული.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, 900-მდე კომლია ლიხაურში და ამაზე ღატაკი არ არსებობს.

ამ საკითხზე პირადად ვიყავი მისული სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან მარიკა თავართქილაძესთან. ვთხოვე, გამომყოლოდა და შეემოწმებინა ჩემი ნათქვამის სისწორე. ჩემი მანქანით მივიყვანდი ადგილზე, სულ ოც წუთს დაკარგავდა. ასე მითხრა, საკმარისი საბუთები მაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ აგენტის მასალა უტყუარად მივიჩნიოო.

როცა სულიკოს და მის მეუღლეს ეს დახმარება აღუდგებათ, ვაპირებ, სარჩელი აღვძრა სოციალურ აგენტზე და მოვითხოვო დაზარალებულთათვის იმ თანხის გადახდა, რა თანხაც დააკლდათ მათ სოციალური დახმარების შეწყვეტის გამო.

კულტურის დღეები სოფლად დაიწყო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გასვლითი ღონისძიებები დაიწყო.

„კულტურის დღეების“ ფარგლებში ადგილობრივი ქორეოგრაფიული და ფოკლორული ანსამბლების მონაწილ-ეობით კონცერტები მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართება.

პირველ ღონისძიებას დღეს სოფელმა მთისპირმა უმასპინძლა.

კონცერტში მონაწილეობდნენ: ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხა,“ ხალხურ საკრავთა ანსამბლი „ედელვაისი,“ ინდივიდუალური შემსრულებლები: გია ვაშალომიძე, ლიკა მამალაძე, ნანუკა ქარჩავა, ხათუნა ქავთარაძე და ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთისპირი.“

პირველ გასვლით კონცერტს დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე დაესწრო.

„ მოხარული ვარ, რომ მსგავსი პროექტი დაიწყო. მიუხედავად სოფლებში არსებული პრობლემებისა, მძიმე სოციალური ფონისა, სასიამოვნოა, როცა ადგილობრივი ანსამბლები არსებობას არ წყვეტენ და არასათანადო პირობებშიც კი აგრძელებენ მუშაობას. ჩვენი მიზანია სოფლების გამოცოცხლება, ადგილობრივი მოსახლეობის წახალისება და კულტურის დარგების განვითარება“ - აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

ინტერვიუ აქტუალურ თემებზე

გია სალუქვაძე: გურიის განვითარების პერსპექტიულ გეგმაში შეიძლება გარკვეული ცვლილებები, დამატებები და კორექტივები შევიტანოთ

— საქართველოში რატომღაც ასეა მიღებული: ახალ თანამდებობაზე ახალ თანამდებობის პირს თავისი გუნდი მოჰყავს. ხომ არ აპირებთ ძირეულ საკადრო ცვლილებებს სამხარეო ადმინისტრაციაში?

— როდესაც დავინიშნე გუბერნატორად, როგორც გუბერნიაში, ისე მუნიციპალიტეტებში უკვე ჩატარებული იყო ტესტირებები და გასაუბრებები. ეს ადამიანები დანიშნულები არიან შესაბამის თანამდებობებზე. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ არ გამოვრიცხავ საკადრო საკითხებს გუბერნიის ადმინისტრაციაში. ალბათ, მოგვიწევს გამომშვიდობება იმ სახელმწიფო მოხელეებთან, რომლებიც ვერ ასრულებენ თავიანთ უფლებამოსილებებს, მიუხედავად იმისა, რომ დანიშნული არიან ატესტაციის შედეგად, მაგრამ ვერ ქმნიან ხელფასის ეკვივალენტურ პროდუქტს. ვეცნობი მათ მიერ ჩატარებულ სამუშაოებს, საქმიანობას, გადაწყვეტილებები, ალბათ, მოგვიანებით იქნება მიღებული.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტების კადრებს, მათზე ჩემი უფლებამოსილება არ ვრცელდება, მუნიციპალიტეტები თვითმმართველი ერთეულებია და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებებს. თუმცა, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ასევე ვეცნობი მათ საქმიანობას და თუ მექნება ამ მიმართულებით რაიმე შენიშვნები, აუცილებლად განვაცხადებ.

— ბატონო გია, რამდენიმე წუთის წინ თქვენ გურიის განვითარების პერსპექტიული გეგმა ახსენეთ, რომელიც, რამდენადაც ვიცი, თქვენს გუბერნატორად მოსვლამდეც და ხელისუფლების შეცვლამდეც არსებობდა. ხომ არ აპირებთ მასში რაიმე ცვლილებების შეტანას, ხომ არ გაქვთ რაიმე სიახლე, თუნდაც კონცეფციის დონეზე?

— საფუძვლიანად გავეცანი ამ გეგმას, საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტია. ჩემი მოსაზრებაა, რომ დროსა და სივრცეში ეს ყველაფერი იცვლება. მაგალითად, პრემიერის სტუმრობის პერიოდში საბოლოოდ გადაწყდა ჩაის, როგორც ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის, წარმოების წინ წამოწევის საკითხი. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ძალიან აქტიურად დაიწყო ამ თემაზე მუშაობა, ჩვენც ჩართულები ვართ, ამ ეტაპზე კონცეფციის შემუშავება ხდება. ერთი მასშტაბით უნდა იყოს განხილული როგორც სახელმწიფო, ისე ფერმერთა საკუთრებაში არსებული სავარგულები.

მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს ყველა იმ ინვესტორს, რომელიც დააპირებს ამ მიმართულებით ინვესტიციების ჩადებას. აქ, მოგეხსენებათ, სახელმწიფო პროგრამებიც არის ჩართული.

— ამ ეტაპზე ხომ არ ჩანს კონკრეტულად ვინმე ინვესტორი?

— ინვესტორები მოდიან, ინვესტორებს სურთ, მაგრამ მე აქ სხვა პრობლემას ვხედავ: არ არის აღწერილი და აღრიცხული ფართობები, არ არის ჩატარებული არანაირი ინვენტარიზაცია. ეს მიწის ნაკვეთები დღემდე დაურეგისტრირებელი აქვთ თვითონ ფერმერებსაც, ზოგიერთი მიწის ფართობი გაყიდული არის კერძო მესაკუთრეებზე ისე, რომ არ გაითვალისწინეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა მეურნეობებში. დაიჩაგრა მოსახლეობა. ამის გამო არის დავა და ნაკვეთებში შეჭრის ფაქტები. ყოველივე ამას ეტაპობრივად, ნელ-ნელა მოვაგვარებთ.

როცა ინვესტორი მოდის, ჩვენ მას მზა პაკეტი უნდა დავახვედროთ, ამ საქმეში აუცილებლად უნდა ჩავრთოთ ანასეულის ლაბორატორია. ინვესტორს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ნიადაგის შედგენილობაზეც, ვინაიდან კულტურა, რომელზეც მან უნდა განავითაროს თავისი ინვესტიცია, მოითხოვს ამას. ნიადაგის ცოდნას, მის დღევანდელ მდგომარეობას. არც ამ მხრივ არის სახარბიელო მდგომარეობა.

— ჩვენი ინფორმაციით, გურიაში არც ერთწლიანი კულტურების ნიადაგებია უკეთეს დღეში.

— დიახ, სავალალო მდგომარეობაა, მაქვს უკვე დასკვნა ლანჩხუთში, აბაშის მიმდებარე ტერიტორიების მიწებზე, იქ თიხნარია 30 სმ სიღრმეზე. იმის გამო, რომ საირიგაციო სისტემები არ მუშაობდა, ფაქტობრივად დაჭაობებაა დაწყებული და მის აღდგენას, სავარგულად ქცევას საკმაოდ დიდი ინვესტიციები სჭირდება. თუმცა, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა შესაბამისი უწყებების მიერ უკანასკნელ წლებში გატარებული საირიგაციო ღონისძიებებით ეს პრობლემა ნელ-ნელა წყდება და დიდი შანსი გვაქვს, რომ ამ ტერიტორიებზე არა მხოლოდ ერთწლიანი, არამედ მრავალწლიანი კულტურების განვითარებაზე ვიზრუნოთ.

ბარემ აქვე გეტყვით, ძალიან დიდი მოთხოვნაა ისეთ მრავალწლიან კულტურებზე, როგორიცაა კაკალი და წაბლი. გვაქვს ამაზე უკვე კვლევები ჩატარებული, უფრო სწორად, დამხვდა მე ეს კვლევები ჩატარებული. მოცვის თემა საკმაოდ მოცულობითია, უკვე გაშენებულია პლანტაციები. თხილი გურიისათვის სტრატეგიული კულტურაა და ალბათ იცით, რომ საქართველო მესამე ადგილზეა თხილის ექსპორტით, თურქეთისა და იტალიის შემდეგ. სამწუხაროდ, აქაც იჩინა თავი პრობლემამ, დღეს მივიღეთ ინფორმაცია, რომ დაბლობ ადგილებში გავრცელდა დაავადება, სურსათის უვნებლობის, ასევე სოფლის მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელებთან ერთად, ოპერატიულად მივიღეთ გადაწყვეტილება, დროულად იქნეს ჩატარებული შეწამვლითი ღონისძიებები, რათა ეს დაავადება არ გავრცელდეს სხვა ზონებშიც. მოგეხსენებათ, რა ზარალი მიაყენა ამერიკულმა პეპელამ გურიას და მთლიანად დასავლეთ საქართველოს.

ასე რომ, არსებულ პერსპექტიულ გეგმაში შეიძლება გარკვეული ცვლილებები, დამატებები და კორექტივები შევიტანოთ. ჩვენ გვაქვს ამბიციური გეგმა, რომ მოხდეს სამოო კურორტების — ბახმაროსა და გომისმთის ჩვენს შავიზღვისპირეთის კურორტებთან დაკავშირება. ეს დიდი ხნის ნანატრი გეგმა იყო, ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდშიც არსებობდა. ყოველივე ეს გურიას გადააქცევს სოფლის მეურნეობის მწარმოებელ და ტურიზმის მხარედ.

— ჩოხატაურზე მინდა გკითხოთ, ლანჩხუთისა და ოზურგეთისგან განსხვავებით, აქ ჩაის წარმოება, ალბათ, პრიორიტეტული ვერ უნდა იყოს. რა კულტურები იქნება აქ უფრო რენტაბელური?

— ჩოხატაური განსაკუთრებით საინტერესოა, კერძოდ, კურორტების ნაბეღლავისა და ბახმაროს განვითარების თვალსაზრისით, ხე-ტყით, ტრადიციული კულტურებით, მეფუტკრეობით. გაეცანით, ალბათ, პატრიარქის ბოლო მიმართვას მეფუტკრეობასთან დაკავშირებით.

ქართული ფუტკარი განსაკუთრებული ენდემური ჯიშია. ქართული თაფლისა და თაფლოვანი პროდუქტების წარმოებასა და ევროპაში გატანას კი პრობლემას უქმნის ნაგავსაყრელები, რომლებიც სტიქიურად არის წარმოშობილი, მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემები. აუცილებელია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაშიც ძალიან გვეხმარება მყარი ნარჩენების სააგენტო და გარემოს დაცვა.

ვაპირებთ, მაქსიმალურად დავეხმაროთ მეფუტკრე ფერმერებს როგორც მატერიალურად, ბიზნესის განვითარებისთვის არსებული პროექტებითა და პროგრამებით, ასევე იმის ახსნით, რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს ქვეყანას მეფუტკრეობის სწორად წარმართვამ.

კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ, არის ასეთი პიროვნება, ნიკო მარის შთამომავალი, გვარად კეკელიძე, რუსეთის მთავარი ფსიქიატრი გახლავთ. მასთან სატელეფონო საუბარი მქონდა, ამ დღეებში ჩამობრძანდება ჩოხატაურში, სადაც აქვს საკმაოდ დიდი მიწის ნაკვეთი და ფიქრობს მეაბრეშუმეობის აღორძინებას. ჩვენთვის ესეც ტრადიციული, საკმაოდ მაღალგანვითარებული დარგი გახლდათ.

გუშინ დავათვალიერე ის ტერიტორია, სადაც ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკა ფუნქციონირებდა, ნაომარს ჰგავს იქაურობა, ყველაფერი გაპარტახებულია. აი, ჩოხატაურში კი გადარჩენილია ერთი საწარმო, რა თქმა უნდა, გადაიარაღება სჭირდება და კარგი იქნება თუ მიებება კეკელიძის საინვესტიციო საქმიანობას. შემდგომში კი შეიძლება ვიფიქროთ მეაბრეშუმეობის დარგის აღდგენაზე ოზურგეთსა და ლანჩხუთშიც.

— ოზურგეთი გურიაში ერთადერთი თვითმმართველი ქალაქია. დღეს აქ, თუ არ ვცდები, 17-მდე სხვადასხვა პროექტი ხორციელდება, რაც უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ ე. წ. პოზიცია-ოპოზიციას „ომობანას“ თამაშში ამ მშენებლობებს მოწინააღმეგეებიც ჰყავს. კი, თქვენ უკვე შეაფასეთ გაწეული სამუშაოები, მაგრამ ხომ არ გაქვთ რაიმე კონკრეტული გეგმა გურულების თვითმმართველი ქალაქის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის?

— პირველი, რაც უკვე ქალაქის საკრებულოს მომავალ სხდომაზე გავა, ეს იქნება სასტუმრო „გურიის“ სრული რეაბილიტაციის საკითხი. ქალაქში ფაქტობრივად არ გვაქვს სტუმრის დასაბინავებელი, თუ არ ჩავთვლით „თამარიონის“ ტერიტორიაზე ჯერ გაუხსნელ და რამდენიმე კერძო სასტუმროს.

უახლოეს პერიოდში დაიწყება დაპროექტება კინოთეატრისა. დავათვალიერე და მინდა გითხრათ, რომ შოკში ვარ იმის გამო, რაც ვნახე. ერთ-ერთი ულამაზესი, და კარგად გამოსაყენებელი უზარმაზარი შენობა-დაწესებულება დაღუპვის პირასაა. აქვე იყო უნიკალური ამფითეატრი. კულტურის სამინისტროსთან ფაქტობრივად უკვე შეთანხმებული ვართ და მოხდება მათი სრული აღდგენა. აქ ვაპირებთ არა მარტო კინოთეატრის ამოქმედებას, არამედ ახალგაზრდული ცენტრის შექმნას.

ასევე ვფიქრობთ, დავიწყოთ მოლაპარაკება ისეთი ბრენდის შემოტანაზე, როგორიც არის „მაკდონალდსი“ და „ვენდი“, შევუქმნათ ჩვენს ბავშვებს შესაფერისი გასართობი გარემო.

სრულად გვინდა მოვაწესრიგოთ სიტუაცია ქალაქის პარკებსა და სკვერებში. სარეაბილიტაციო თეატრის გვერდით მდებარე პარკი. რაც შეეხება ე. წ. „ჭადრების ბაღს“, აქ სარკოფაგივით ჩანს ყოფილ შადრევანზე მიყრილი მიწა. არ ვიცი, ვის მოუვიდა ეს აზრად. რა თქმა უნდა, იმას გავწმენდთ და ვნახავთ შეიძლება თუ არა იქ ფუნქციონირებდეს შადრევანი, თუ არ შეიძლება, მაშინ სხვანაირად მოვაწყობთ. აუცილებელია ტროტუარების განახლებაც.

რაც ყველაზე მთავარია, დადებითად წყდება თეატრის სრული რეაბილიტაცია. საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება ამ საქმეს, რასაც მუნიციპალიტეტი ვერ შეძლებს, ცენტრალური ხელისუფლება გვპირდება. როგორც მაქვს ინფორმაცია, პროექტი უკვე მზად არის.

ასევე იგეგმება ამ შენობის, სადაც ახლა ვიმყოფებით, რეაბილიტაცია. მოგეხსენებათ, ოზურგეთი თვითმმართველი ქალაქი გახდა, მას აქვს თავისი მერია და საკრებულო. ამ შენობაში შეუძლებელია ერთობლივად რამდენიმე სტრუქტურის მოხელეთა განთავსება, ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სოფელ ოზურგეთში, ყოფილი ადმინისტრაციის შენობაში გადავა თვითმმართველ თემთა მუნიციპალიტეტი, ამ არაჩვეულებრივი შენობის რეაბილიტაციის შემდეგ.

ჯერჯერობით სრულად არ გვაქვს დასრულებული მუნიციპალური ტრანსპორტის თემა. მთლიანად გურიას დაახლოებით 50 ახალი ავტობუსი ეყოლება, რომელიც ასევე ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის, ექნება თავისი პანდუსი, ასევე საბარგული უკანა მხარეს. დღეს დავავალე გამგებლებს, რომ მარშრუტები და რაოდენობა იყოს დათვლილი. იქნება ერთიანი სატრანსპორტო სისტემა, ფუნქციონირებას დაიწყებს ავტოსატრანსპორტო გაერთიანება.

ამასთან, ოზურგეთში, ავტოსადგურთან უნდა ჩატარდეს ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოხდება 16-მდე გზის რეაბილიტაცია. მოგეხსენებათ, თითქმის შეცვლილია წყლის სისტემა და უახლოს პერიოდში ქალაქი სრული დატვირთვით მიიღებს სასმელ წყალს.

ასევე გვაქვს სურვილი, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს სასმელი წყლით ანასეულის მომარაგების საკითხი. მიმდინარეობს მოლაპარაკება წყლის კომპანიასთან და მსოფლიო ბანკთან. სათავე ნაგებობა უნდა შეიცვალოს და უნდა მოხდეს ლიხაურისა და ანასეულის მიმართულებით წყალსადენი მილების გამხოლოება.

გარდა ამისა, დამუშავების ფაზაშია უამრავი სხვა პროექტი და ჯერჯერობით მათზე საუბარი ნაადრევი იქნება, სანამ გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული. გეტყვით მხოლოდ ერთს, 20 ივნისს მზად იქნება გრიგოლეთიდან ჩოლოქამდე განაშენიანების პროექტი. დაახლოებით 60-მილიონიანი პროექტია და მოხდება წყლისა და კანალიზაციის სრული რეაბილიტაცია, უკვე დავიწყეთ საუბარი ოზურგეთის კანალიზაციის მოწყობასთან დაკავშირებით, საკმად ძვირად ღირებულია, თუმცა აუცილებელია გამწმენდი ნაგებობა, ვინაიდან ფეკალიები პირდაპირ ჩადის მდინარეებში, რაც საბოლოოდ აბინძურებს როგორც მდინარეს, ისე შავ ზღვას.

— შარშან მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის მხრიდან გაჟღერდა ინფორმაცია ქალაქ ოზურგეთში სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობაზე, ხომ არ გაქვთ ახალი ინფორმაცია ამ თემაზეც?

— დიახ, სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობა ბატონი ზვიადის მიერ გაჟღერებული თემაა. მოგეხსენებათ, ამას ხელისუფლება თვითონ ვერ განახორციელებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ინვესტორის სურვილი, ჩვენ მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ. მსუბუქი მრეწველობის განვითარება, — ეს დასაქმების პერსპექტივაა, ნებისმიერ ინვესტორთან დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებთ, უფრო მეტს გეტყვით, ჩვენ ხელს შევუწყობთ ყველა ინვესტორს, რათა არსებული ნაგებობები, თუნდაც უფასოდ, გადავცეთ იმისათვის, რომ მოხდეს მათი რეაბილიტაცია და რაიმე სახის საწარმო გაიხსნას.

— ბატონო გია, გურიაში ლანჩხუთი ყოველთვის გამოირჩეოდა პოლიტიკური აქტივობით. თუ ბოლოდროინდელ მოვლენებს თვალს გადავავლებთ, აქ პოლიტიკური ტემპერატურა დღესაც მაღალია — დაპირისპირებაა მუნიციპალიტეტის გამგებელ ზაზა ურუშაძესა და მუნიციპალიტეტის გამგებლის უკვე ყოფილ მოადგილე ვახტანგ ზენაიშვილს შორის. სოციალურ ქსელში ოპოზიცია გამგებლის მფარველობაში გდებთ ბრალს. რა ხდება ლანჩხუთში, თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?

გვ-4

ინტერვიუ აქტუალურ თემებზე

გია სალუქვაძე: გურიის განვითარების პერსპექტიულ გეგმაში შეიძლება გარკვეული ცვლილებები, დამატებები და კორექტივები შევიტანოთ

— მოდით, ასე ვთქვათ, მე ვერ ვმფარველობ და არ ვმფარველობ არავის, ვინაიდან ეს პირები ჩემს გუბერნატორად დანიშვნამდე იყვნენ არჩეულები. როცა ჩამოვედი, მაშინ გავიცანი ისინი. რაც შეეხება გამგებლის მოადგილის განთავისუფლების საკითხს, მე სამართლებრივად ეს გავიარე. არჩეულ მუნიციპალიტეტის გამგებელს თავისი მოადგილე და სამსახურის ხელმძღვანელები, კანონმდებლობის მიხედვით, შეუძლია დანიშნოს და გაათავისუფლოს ერთპიროვნულად. აქედან გამომდინარე, მოტივაცია, რატომ გაათავისუფლა, არა მგონია იყოს პოლიტიკური, როგორც აღნიშნავენ. ამ გადაწყვეტილებაში მე ვერ ჩავერევი, ვერც ახლა, ვერც მომავალში, როგორც გათავისუფლებაში, ისე დანიშვნაში. ვისაც ჩათვლის საჭიროდ, ვისთან ერთადაც უნდა იმუშაოს თავის გუნდთან ერთად, იმას დატოვებს. მე გათავისუფლებულ პიროვნებას არ ვიცნობ, არც მის შესახებ ვიცი რამე. როცა გამგებელს შევეკითხე, რა მოტივით იხელმძღვანელა, როცა გაათავისუფლა, მიპასუხა: მოტივაცია ჩემი იყო ის, რომ ის მასზე დაკისრებულ მოვალეობას ვერ ან არ ასრულებდა. სამართლებრივად მას ამის უფლება ჰქონდა და ისე მოიქცა, როგორც გადაწყვიტა.

— და ბოლოს, არ შემიძლია არ გკითხოთ: დოკუმენტური ფილმი, რომელიც თქვენ და თქვენმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მოამზადა, ევროპამ ნახა. მე, როგორც ჩემი ქვეყნის მოქალაქეს, სად შემიძლია ამ ფილმის ნახვა?

— ეს ფილმი მომზადდა 2014 წლის დეკემბერში. მე, ჩემს ჯგუფთან, ერთად გახლდით ბრიუსელში, ევროპარლამენტში, სადაც მოვახდინეთ მისი ინგლისურენოვანი ვარიანტის დემონსტრირება, ჩავატარეთ პრესკონფერენციები, გვქონდა შეხვედრები ევროპარლამენტის სხვადასხვა ფრაქციებთან, ცალკეულ დეპუტატებთან. ამ ფილმის წარდგებას ასევე ვფიქრობდით საფრანგეთში, სენატში, ასევე ბუნდესტაგში, ბერლინში და სტრაბურგში, ევროსაბჭოს დარბაზში. მას, ალბათ, ჩემი მეგობრები შემდეგ განახორციელებენ უჩემოდ, რადგან მე აღარ ვარ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ეს ფილმი ვაჩვენეთ დასავლეთ საქართველოში — აჭარაში, ფოთში, ზუგდიდსა და სხვა ქალაქებში, ასევე გახლდით კახეთში.

თუ ჩემი ყოფილი ორგანიზაციის მესვეურები გადაწყვეტენ, რომ საჭიროა ამ ფილმის წამოღება გურიაში, მე ამაში ვერ მივიღებ მონაწილეობას, ეს მათი გადასაწყვეტია,

რაც შეეხება იმას, სად ვნახოთ: იუთუბიზე რომ შეხვალთ, აკრიბეთ ქართული ტექსტი „სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი“, პირველი, რაც ამოვარდება, ეს ამოვარდება. ეს არის 16-წუთიანი დოკუმენტური ფილმი. ასე ვთქვათ, თითიდან გამოწოვილი აჟიოტაჟი მოყვა ამ ფილმის ჩვენებას. ფილმში გამოყენებული ყველა მასალა აღებულია მედიასაშუალებებიდან, ანუ იქ არ არის რაიმე სახის ფარულად გადაღებული კადრები. ჩვენი ფილმის კონსტრუქცია ისეა გაკეთებული, რომ როცა ევროპელ მეგობრებთან ვსაუბრობდით, მათ ვეუბნებოდით, აი, 2005 წლის ქმედებაა და თქვენი შეფასებაა, სახელმწიფო დეპარტამენტის, ქეთრინ ეშტონის, ჰამელბერგის და სხვების. ვეუბნებოდით, რომ თქვენ ამ მოვლენებს ასე აფასებდით. ფილმში ასახული პირები კი ამჟამად არიან პასუხისგებაში მიცემული. სად არის პოლიტიკური დევნა, თუ მაშინ ამას ამბობდით, ახლა რატომ იცვლით, ასე ვთქვათ, აზრს?! ეს არის ერთგვარი დოკუმენტური სარჩევი იმისათვის, რომ ადამიანს ვუთხრათ, რა ხდებოდა, რა შეფასებები იყო, რა შედეგი დადგა. ვეკითხებოდი საზოგადოებას, სადაც შევხვდებოდი და ჟურნალისტებს პირდაპირ ეთერში: თუ შეიძლებოდა „რუსთავი-2-ს“, პირველ არხს, „მაესტროს“ ეს დოკუმენტური მასალა გაეშვა პირდაპირ ეთერში, დღისით, მზისით და თუ ამის კოლაჟზეა ლაპარაკი, რატომ არ შეიძლება ეს ნახოს საზოგადოებამ?

საუბედუროდ, რა ხდება იცით? ჩვენ ეს ჩავიდინეთ, ეს გავაკეთეთ და თქვენ ამას ნუ აჩვენებთო. ეს ხომ პარადოქსია. მე პირადად ციხეში გახლდით, როგორც პოლიტპატიმარი, გავთავისუფლდი და რატომ უნდა ამიკრძალოს ვინმემ საზოგადოებისთვის იმ დოკუმენტური მასალის ჩვენება, რაც რეალურად ხდებოდა.

ჩვენ საზოგადოებას კიდევ ერთხელ ვახსენებდით, რა ქმედებებს ჰქონდა ადგილი და სწორედ ეს იყო მათი „გაბრაზების“ მიზეზი.

— ბატონო გია, რადგან პოლიტპატიმრები ახსენეთ, უნდა გითხრათ, რომ ჩვენს რედაქციას ახლო ურთიერთობა აქვს აჭარის ჯგუფთან, რომლის მოთხოვნაა ყოფილი კრიმინალური ხელისუფლების მიერ დაგეშილი პროკურატურისა და პოლიციის ის ჩინოსნები, რომლებიც ახორციელებდნენ მათ სამართლებრივ დევნას, დღესაც წარმოდგენილი არიან, როგორც სამართალდამცავები, გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან. ერთ-ერთი მოთხოვნა დღევანდელ ხელისუფლებაში ნაციონალების მაღალი თანამდებობებიდან ჩამოშორებასაც ეხება.

— კი ბატონო, მოგცემთ კომენტარს. მე გახლავართ იურისტი. ადამიანი, პირთა ჯგუფი, ძალადობაზე მყოფი ადრე თუ ამჟამად, ვისაც აქვს ჩადენილი დანაშაული, ყველა უნდა იქნას პასუხისგებაში მიცემული. ყველას საქმე უნდა იქნას გამოძიებული. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ პროკურატურაში შეიქმნა ჯგუფი, რომელიც დაადგენს წინა პერიოდში ჩადენილ ქმედებებს და ხარვეზებს და გადაიდგმება ნაბიჯები სამართლებრივი აღდგენის კუთხით. აქედან გამომდინარე, ვინც არ უნდა იყოს იმ ქმედებების ჩამდენი, წინა თუ მოქმედი ხელისუფლების თანამდებობის პირი, მოხელე თუ უბრალო ადამიანი, ყველა უნდა იყოს მიცემული პასუხისგებაში, თორემ ხელს შევუწყობთ იმას, რომ კვლავ განმეორდეს მსგავსი ქმედება.

სხვათა შორის, მხოლოდ წინა ხელისუფლებისთვის არ ხდებოდა ჩვენი ფილმის დემონსტრირება, ის დღევანდელ ხელისუფლებასაც უჩვენებს, როგორ არ უნდა იქცეოდეს ხელისუფალი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი მას მხოლოდ არჩევნების დროს კი არ გასცემს პასუხს, არამედ ყოველთვის ადეკვატური იქნება.

პოლიტპატიმრებისა და ზოგადად რეპრესირებული ადამიანების მოთხოვნები აბსოლუტურად სამართლიანია, მეც მათ ვუერთდები.

ის, რომ ვანო მერაბიშვილი არის იმ საკანში, რომელშიც მე გახლდით, პასუხისგებაშია მიცემული ახალაია, იძებნება ყოფილი პრეზიდენტი, ციხეშია უგულავა და გამამტყუნებელი განაჩენია ამ პირებზე, სამართლიანობის აღდგენაა პირადად ჩემთვის. რა თქმა უნდა, ეს უკვე დაწყებულია, მაგრამ ჩემთვის და ზოგადად ქონებაწართმეულებისთვის, ვისაც ციხეში გვიკრეს თავი, კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რომ დაგვიბრუნონ ქონება. მე სხვანაირად ვუდგები ამ საკითხს, ის პოლიციელი, ჯიბის ჩამოხევა რომ დამაბრალა და ოთხი წელიწადი მომისაჯეს, რასაკვირველია, უნდა დაისაჯოს, რა თქმა უნდა ის პროკურორიც არ უნდა იყოს პროკურორი, მოსამართლის მანტია აღარ უნდა ჰქონდეს მოსხმული ზვიად ესებუას, რომელმაც ოთხი წელი მომისაჯა, როდესაც 170 მოწმე ამბობდა, რომ სახლიდან გამიტაცეს ნიღბიანებმა და მხოლოდ ერთი პოლიციელი მადებდა ხელს, ჯიბე ჩამომახიაო.

მე შეტანილი მაქვს ამ ახალ უწყებაში განცხადება, დაწყებულია გამოძიება და მერე ვნახოთ ნელ-ნელა, რა იქნება და როგორ იქნება.

საერთოდ, მაქვს იმის საფუძველი, ვიფიქრო, რომ როგორც გურიაში, ისე მთლიანად საქართველოში ყველაფერს ობიექტურად მიეცემა თავისი მიმართულება.

ესაუბრა

თემურ მარშანიშვილი

ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობამდე

ჩვენ ყველა მიწისზედა ციფრულ სატელევიზიო ქსელზე გადასვლას ველოდებით, რაც 2015 წლის 17 ივნისს უნდა დასრულდეს. ეს თითოეულ ოჯახში მიწოდებული სატელევიზიო სიგნალის გაუმჯობესებულ ხარისხს უზრუნველყოფს. პროცესის დასრულებამდე ერთ თვეზე ნაკლები დროა დარჩენილი, თუმცა საქართველოს მოსახლეობას მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ საკმარისი ინფორმაცია მაინც არ აქვს. აღნიშნულ საკითხზე ჩვენი მკითხველებისგან კითხვები მივიღეთ და გადავწყვიტეთ, ყველაზე ხშირად დასმულ რამდენიმე მათგანს ვუპასუხოთ:

— როდის მოხდება მიწისზედა ციფრულ სატელევიზიო ქსელზე გადასვლა და ამის შემდეგ რა შეიცვლება ჩემთვის?

— ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ცნობით, საქართველოში მიწისზედა ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა 2015 წლის 17 ივნისს დასრულდება. ეს თარიღი არის ბოლო ვადა, როდესაც ქვეყანაში ანალოგური მიწისზედა სატელევიზიო ქსელი უნდა გაითიშოს. ციფრული სიგნალის მიღება რამდენიმე გზითაა შესაძლებელი: ციფრული მიწისზედა ანტენით, ციფრული კაბელით, ინტერნეტით ან სატელიტით. თუ სატელევიზიო სიგნალს სატელიტის ან ინტერნეტის საშუალებით იღებთ, გაციფრულება თქვენზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან თქვენ უკვე ციფრულ სატელევიზიო სიგნალს იღებთ, ხოლო თუ ანალოგურ მიწისზედა სიგნალს იღებთ, თქვენი გადასაწყვეტია, რა საშუალებას აირჩევთ ციფრული სიგნალის მისაღებად.

— რა განსხვავებაა ანალოგურ და ციფრულ სიგნალს შორის?

— ანალოგური ტელევიზიისგან განსხვავებით, სადაც აუდიო და ვიდეო სიგნალის გადასაცემად მაგნიტური ტალღები გამოიყენება, ციფრული სიგნალი ბაიტების საშუალებით გადაიცემა. შედეგად ვიღებთ ციფრულ ინფორმაციას, რომელსაც კრისტალურად სუფთა გამოსახულება და უმაღლესი ხარისხის ხმა აქვს.

— როგორც ვიცი, ციფრული სიგნალი 17 ივნისამდეც შემიძლია მივიღო. როგორ გავაკეთო ეს?

— დიახ, შეგიძლიათ. ზოგადად, ციფრული სატელევიზიო სიგნალი რამდენიმე საშუალებით და მათ შორის ანტენით, სატელიტის, კაბელის ან ინტერნეტის მეშვეობით გადაიცემა. სატელიტი ციფრული სატელევიზიო სიგნალით მთელ ქვეყანას ფარავს. ასე რომ, ციფრული სიგნ-ალით უკვე შეგიძლიათ ისიამოვნოთ სატელიტით და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალ-ებებით. ამისთვის სულაც არაა საჭირო, რომ 17 ივნისს დაელოდოთ.

— გაციფრულების პროცესი მე როგორ შემეხება?

— გაციფრულების პროცესი ძირითადად ეხება ხალხს, რომელიც ანალოგური მიწისზედა სიგნალის მისაღებად ტელევიზორის ანტენას იყენებს. სწორედ ამ მიწისზედა ქსელის გაციფრულება ხდება. მათ მოუწევთ, არჩევანი გააკეთონ, თუ რა გზით მიიღებენ ციფრულ სიგნალს. ხოლო თქვენთვის არაფერი შეიცვლება, თუ უკვე იღებთ ციფრულ სიგნალს, მაგალითად, სატელიტის მეშვეობით.

Ე

გამოხმაურება

მე ამ სტატიამ ჩემი ახალგაზრდობა მომაგონა

გაზეთ „ალიონის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარი მცველის მანანა ლომაძის სტატია ოზურგეთის ევაკოჰოსპიტალის შესახებ, სადაც მოხსენიებულია რუსუდან თოხაძისა და მიხეილ ანოვსკის ოჯახი. მე ამ სტატიამ ჩემი ახალგაზრდობა მომაგონა და აუცილებლად უნდა გამოვეხმაურო.

რუსუდან თოხაძე იყო ჩემი დეიდა და იგი დაქორწინდა ამ ჰოსპიტალის პარტიული ორგანიზაციის მდივანზე, ხოლო დეიდაჩემი იქვე ექთნად მუშაობდა. მათ უაღრესად თბილი ოჯახი შექმნეს, ბებიაჩემი სიძეს მოფერებით „გუნიას“ ეძახდა.

ერთი წლის შემდეგ ჰოსპიტალი თბილისში გადავიდა და რამდენიმე წელი ისინიც თბილისში ცხოვრობდნენ. ამ დროს დაიწყო რუსთავში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა და რუსთავი გახდა სწრაფად მშენებარე ქალაქი. ანოვსკების ოჯახი რუსთავში გადავიდა, იქ მიიღეს ბინა და განაგრძეს საქმიანობა: მიხეილი რუსთავის ქალაქკომის პროპაგანდის განყოფილებაში მუშაობდა, ხოლო რუსუდანი ერთ-ერთი საავადმყოფოს ექთანი იყო. ჰყავთ ორი ქალიშვილი — ვერა და ნუნუ. ვერა, მეუღლითურთ, თბილისში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ, მეუღლესთან, შვილთან და შვილიშვილთან ერთად, ამერიკაში გადავიდა. ნუნუ მამისეულ ოჯახში დარჩა ქ. რუსთავში და იქ ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად.

მიხეილმა და რუსუდანმა იქვე, რუსთავში დასრულეს თავიანთი ცხოვრება, დაკრძალული არიან რუსთავის სასაფლაოზე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები, ხოლო მათ ნამრავლს დიდხანს სიცოცხლესა და ბედნიერებას ვუსურვებ.

აქვე მინდა, მადლობა მოვახსენო ქალბატონ მანანა ლომაძეს მათი მოგონებისათვის.

არსენ კეჭაყმაძე,
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ასოცირებული პროფესორი, ოზურგეთის საპატიო მოქალაქე.

როცა ყველას უყვარხარ

ნუგზარ ასათიანი

სკოლის დირექტორების სხვადასხვა ტიპაჟი ჩამრჩა მეხსიერებაში. მცოდნე, ძლიერი, მკაცრი, მომთხოვნი– ასეთი იყო ჩემი სათაყვანებელი ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის დირექტორი ნიკოლოზ შუბლაძე.

იაკობის შემთხვევაში კი მინდა აღვნიშნო, რომ მას აქვს ბრწყინვალე განათლება, სკოლაში დემოკრატი იყო, ადვილად არ იმეტებდა ახალგაზრდებს დასასვჯელად, კარგად ჰქონდა დაყენებული სასწავლო პროცესი, იყო სიახლეების მაძიებელი და ერთ-ერთი საუკეთესო დირექტორი მუნიციპალიტეტში.

მახსოვს, ერთხელ ნატანებელთა თავკაცს, გივი წითლიძეს ვკითხე: – რატომ იყო ზემო ნატანების საშუალო სკოლა №1, როცა სოფლის ცენტრში უფრო დიდკონტიგენტიანი (საუკეთესო არქიტექტურიანი შენობაც) სკოლა ჰქონდათ.

– ეს სოფლის ისტორიის დამსახურებაა– მითხრა მან. საღვთო ისტორიული სოფელი იყო გურიაში და სწორედ აქ ერთ-ერთი პირველი გაიხსნა სკოლაო ...

ბატონი იაკობ ბოლქვაძე ათეული წლები დიდი სიყვარულით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. უძლიერეს პედაგოგთა პლეადა ჰყავდა. მარტო ბენიამინ გოგოტიშვილის სახელი კმაროდა სკოლის სიძლიერის შესაფასებლად.

იაკობის ცოლისძმა შალვა ნიკოლაიშვილი ჩემი ახლო მეგობარია და ამანაც განაპირობა, რომ მასთან არა მარტო პროფესიული მოვალეობის შესრულების გარდა, შევხვედრილიყავი ოჯახშიც, მისეული თამადობის სტილსაც გავცნობოდი.

ბატონ იაკობს და ქალბატონ ნანის (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) ლამაზი ოჯახი აქვთ, ეს არახალი ამბავია. სამი შვილი აღზარდეს, მაგრამ იცით რა არის ამ ოჯახის სიძლიერე, მათ არასდროს უფიქრიათ სოფლის დატოვება და ახლა უმცროსი ვაჟი ლაშა ბოლქვაძე აგრძელებს ოჯახურ ტრადიციას– რამდენიმე წელია ზემო ნატანების №1 საჯარო სკოლის დირექტორია.

იტყვიან, ვისი გორისანი ხარ...

ზემო ნატანებში, მაღალ ალაგზე დგას იაკობის სახლი. გარშემო ციტრუსის ბაღი აკრავს. საინტერესო ამბავი გვიამბეს:

– ომის დამთავრების შემდეგ უნახავთ თუთის დიდ ხეში ჩაშენებული ცელი, – ომის გამოცხადების დღეს თურმე მამა-ივანე მანდარინის ბაღში მუშობდა. 22 ივნისს, სამხედრო კომისარიატის „პოლტორკამ“ რომ ჩამოიარა, დაუბარეს, ერთ საათში გამოგივლით და ომში უნდა წახვიდეო. ჰოდა, მაშინ შემოუდვია ის ცელი თუთაზე...

1942 წელს ჰოსპიტალში სამკურნალოდ გამოეშვათ ფრონტიდან ივანე. ფეხები ჰქონდა მონაყინი და ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებდა. არ დაელოდა გამოჯანმრთელობს, ისე გაეშურა კვლავ საომრად...

–მალე გავიმარჯვებთ და დავბრუნდებიო-დაუბარა მეუღლეს.

ღირსეულად აღზარდა ორი შვილი დედა ნინამ..

ვანო, ლაშა, ნინო-სამი შვილი და ორი შვილიშვილი ნინა და ნიკოლოზი ჰყავს ოჯახს.

უფროსი ვანო, იურისტია და შსს რიგებში მუშაობს, იმავდროულად კრიმინალისტიკას კითხულობს ერთ-ერთ უნივერსიტეტში; მისი მეუღლე მაკა კუტალია,ინგლისური ენის სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორია და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში; ქალიშვილი ნინოც თბილისში ცხოვრობს. იგი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია თბილისის მე-100 სკოლაში.

ბბუასეულ ფუზეზე ახლა უმცროსი ვაჟს ლაშას აქვს კერია გაჩაღებული. მისი მეუღლე ნათია როყუაც პედაგოგია. ინგლისური ენის სპეციალისტი. მოკლედ პედაგოგთა მთელი თაობაა ამ ლამაზ ოჯახში...

ნატანების კულტურის სახლში ბევრი მეგობარი და თანასოფლელი შეიკრიბა საამყო პედაგოგისა და დირექტორის სახლში გასაცილებლად. თბილი სიტყვები უთხრეს იაკობ ბოლქვაძეს ლელა იმედაშვილმა, როზა გოგუაძემ, დავით სიხარულიძემ, ლავრო კოსტავამ, მელისი ნადირიძემ და სხვებმა.

იაკობი კი იდგა სცენაზე და მადლიერების ნიშნად იღიმოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიუძღვნეს

ალიონი.სოფ. მერიის სკოლა (დირექტორი ავთანდილ კეჭაყმაძე) ერთ-ერთი ძლიერი სკოლაა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. არაერთი ლამაზი ღონისძიების მოწმე ვყოფილვართ ამ სკოლაში.

25 მაისს, ამ სკოლის მე-7 კლასელებმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიუძღვნეს ლამაზი საღამო „ჩემი სამშობლო საქართველოა“ (დამრიგებელი მზია კალანდაძე, ინგლისურის პედაგოგი დარეჯან გრიგოლია) 33 მოსწავლემ გააცოცხლა საქართველოს წარსული, წარმოადგინეს ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარ დედოფლის, გიორგი ბრწყინვალის, ქეთევან დედოფლის ეპოქები. კოსტიუმებზეც ეზრუნათ და ეპოქის შესაბამისი სამოსი ეცვათ..

როგორც გაირკვა ამ დღეს სკოლას იუბილარებიც ჰყავდა: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ციური ქავჟარაძე და ამერიკელი მოხალისე ჩალზ ბრედფორდი.

ჩარლს რამდენჯერმე შევხვედრივართ. ერთი წლის მანძილზე ქართულსაც კარგად დაეუფლა და აქტიურად მონაწილეობს სკოლის ღონიძიებებში. იგი აშშ-ში, მერილენდის შტატის ქალაქ ბალტიმორიდანაა. მასთან ერთად ამ დღეს სკოლას ასევე ამერიკელი მოხალისე მასაჩუსეტის შტატის ქალაქ ბასტინიდან ელისონ სვენსონიც სტუმრობდა. ელისონი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. გორდის საჯარო სკოლის მოხალისეა.

მოსწავლეებმა იუბილე მიულოცეს ქალბატონ ციურის და ჩალზს. შემდეგ ჩარლზმა და ელისონმა მე-7 კლასელ ნინო მოისწრაფეშვილთან ერთად ქართული და ინგლისურენოვანი სიმღერები შეასრულეს...

გაიჭრა საიუბილეო ტორტი. ამჯერად ელისონის ინიციატივით (იგი კარგად უკრავს ფანდურზე) ლადო ასათიანის ლექსზე სიმღერა „დაუკარით“ შეასრულეს.

მოკლედ ლამაზი ქართულ-ამერიკული საღამო იყო.

ჩარლზმა გამომშვიდობებისას (ქართულ ენაზე ვსაუბრეობდით) გაგვიმხილა, რომ მერიელებმა ძალიან შეაყვარეს საქართველო. მისი და დენი აშშ-დან ველოსიპედით წამოვიდა საქართველოში, ხოლო მშობლებს აგვისტოში ელოდება, რომ უფრო ახლოს გააცნოს საქართველო.

ოზურგეთის ღია საქალაქო ტურნირი ნარდში

ოზურგეთის ღია საქალაქო ტურნირის სახით, ახლად დაფუძნებულმა გურიის ნარდის ფედერაციამ (პრეზიდენტი გია მამაკაიშვილი) ცნობილი მონარდეების მონაწილეობით კიდევ ერთი ღონისძიება მოაწყო და იგი ოზურგეთის მაისის სადღესასწაულო დღეებს დაუკავშირეს. ტურნირში გარდა ოზურგეთელებისა, მონაწილეობა მიიღო გურიის ნარდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან, მერაბი წილოსანმა და ლანჩხუთის სპორტის სამსახურის უფროსმა მინდია დვალიშვილმა. შეჯიბრება ქართული (მოკლე) ნარდის აღიარებული წესებით ჩატარდა და მას ფედერაციის კეთილმოწყობილმა და სტანდარტული ინვენტარით აღჭურვილმა ნარდის კლუბმა უმასპინძლა

ტურნირში 16 მონაწილე ჩაერთო, რომლებმაც ოლიმპიური სისტემით დაიწყეს ორთაბრძოლები საპრიზო ადგილების მოპოვებისათვის. დამტკიცებული დებულების მიხედვით, კენჭისყრით დაწყვილებული მონაწილეები თამაშობდნენ 5 ქულის დაგროვებამდე. შეჯიბრებამ, რომელიც ძალზე საინტერესოდ და კორექტულად წარიმართა, ნარდის მოყვარულ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. მერვედფინალში და მეოთხედფინალში ჩატარებული დაძაბული მატჩების შემდეგ, ტურნირს ოთხი მონაწილე შემორჩა, რომლებსაც ერთმანეთში უნდა გაერკვიათ საპრიზო ადგილების ბედი.

საბოლოოდ ფინალში, ოზურგეთელმა **გრიშა სმირნოვმა მერაბ წილოსანთან** დაძაბული შეხვედრა 5:4 დაასრულა და ტურნირის გამარჯვებული გახდა. მესამე ადგილზე გიორგი ნაკაშიძე გავიდა.

წარმატებული მონარდეები სპეციალური დიპლომებით და ფულადი პრიზებით დაჯილდოვა გურიის ნარდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ოლეგი გობრონიძემ.

26 მაისის ტრადიციულ საჭადრაკო ტურნირზე

დამთავრდა ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ოზურგეთელმა მოჭადრაკეებმა გამართეს. შეჯიბრებაში ჩართულ 10 ტიტულოვან მონაწილეთა შორის იყვნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოქმედი და ყოფილი ჩემპიონები აკაკი გოგუა,გივი სიამაშვილი და ვოვა ტაკიძე,12 წლამდე ასაკის მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი თორნიკე მახარაძე. როგორც მოსალოდნელი იყო საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა სწორედ მათ შორის გაიმართა.

7,5-7,5 ქულა დააგროვეს **გივი სიამაშვილმა** და **აკაკი გოგუამ**. გამარჯვებულის გამოსავლენად დებულების შესაბამისად დამატებითი 2 პარტია დანიშნა, სადაც გივი სიამაშვილმა მოიგო და ტურნირის გამარჯვებული გახდა.

7 ქულით მესამე **ირაკლი მახარაძე** იყო, მეოთხე- **თორნიკე მახარაძე** -6 ქულა; მეხუთე- **ანზორ ქუტიძე**-5 ქულა.

მოეწყო გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება.

ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ოზურგეთის ღია ჩემპიონატზე

ოზურგეთის ცენტრალური საჭადრაკო კლუბში ორ კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა საჭადრაკო პირველობები ახალგაზრდებს შორის, მიზნად ისახავდა 16 წლამდე ასაკის გოგონებსა და ბიჭებში საუკეთესოთა გამოვლენას. როგორც მოსალოდნელი იყო გოგონათა შორის, მე-4 საჯარო სკოლელმა **ანა მეგრელაძემ** იმარჯვა. მან ქულათა მაქსიმალური ოდენობა დააგროვა და დიდი უპირატესობით მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. მკითხველს შევახსენებთ,რომ ეს ის ანაა, რომელმაც ამ ორიოდე თვის უკან, თავის ასაკში იასპარეზა საქართველოს პირველობაზე და ოზურგეთელ გულშემატკივართა გასახარად ქვეყნის ვიცე - ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე ადგილზე **ანა ქორიძე** გავიდა,ხოლო მესამეზე **ნატალი ბერიშვილი.** აღსანიშნავია ასევე ელისაბედ სოსელიას კარგი თამაში.

ვაჟებს შორის შეჯიბრება,რომელშიც წარმატებული გოგონებიც იყო ჩართული, უფრო დაძაბული და საინტერესო აღმოჩნდა. აქ ბიძაშვილებმა, **დათო** და **გიორგი ვასაძეებმა** ლიდერობა ჩემპიონატის დასაწყისშივე ჩაიგდეს ხელთ და ბოლომდე შეინარჩუნეს. დათო 12 ქულით ჩემპიონი გახდა,ხოლო გიორგი 10,5 ქულით მეორე ადგილს დასჯერდა. მესამე საპრიზო ადგილი , კი 9,5- 9,5 ქულით ერთდროულად სამმა მოჭადრაკემ -**ზურა ანდღულაძემ** (მე-2 საჯარო სკოლა), **ალეკო ნიკოლაიშვილმა** (სოფპახვი) და **ანა მეგრელაძემ** გაიყო. მეოთხე საპრიზო ადგილი **ნიკა ბარამიძემ** 9 ქულით მოიპოვა.

გარაჯვებულები საზეიმოდ სპეციალური დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვეს.

ქართული ჭიდაობის გურული ფალავნები

ხორავამ დაწერა:„ აი ეს დიდებული საქმეა — ქართული ჭიდაობის გურული ფალავნები ,გაიხარეთ !“

წლების წინ „ქართულ ჭიდაობას“ წარმატებული ადგილი ეკავა ოზურგეთის სპორტულ ცხოვრებაში. ამაში დიდი წვლილი ჰქონდა ქარელელ მწვრთნელს გოგი დვალიშვილს, რომელიც წლების მანძილზე ცხოვრობდა და მუშაობდა ოზურგეთის რაიონში.

„ქართული ჭიდაობა“ კურორტ ბახმაროში ყოველწლიურად გამართულ ტრადიციული დოღის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. საზოგადოების ინტერესი სპორტის ამ ლამაზ ეროვნული სახეობისადმი დიდია. ასე იყო ამჯერადაც. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ქ ოზურგეთში, „ჭადრების ბაღში“ შეჯიბრი გაიმართა ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც ბევრი გულსმტკივარი ჰყავდა. შეჯიბრში 22 მოჭიდავე მონაწილეობდა. ფინალში **თორნიკე ულენტი** და **როლანდ ქარჩავა** შეხვდნენ ერთმანეთს. გამარჯვებული **როლანდ ქარჩავა** გამოვიდა.

სოციალურ ქსელში „ქართული ჭიდაობის“ ამსახველ ფოტოებს ერთ-ერთმა სოც. ქსელის მომხმარებელმა ზურაბ

გოდერძი მახარაძის მორიგი გინესის რეკორდი

გოდერძი მახარაძემ გინესის პირველი რეკორდი 1996 წელს დაამყარა. იგი დღეს 43 მსოფლიო (გინესის) რეკორდის ავტორია. მომავალში სურს დაამკვიდროს მსაოფლიოში ახალი სპორტული მიმართულება და დასძლიოს დედამიწის ყველა კონტინენტის სიმბოლური შენობა-ნაგებობანი: ევროპაში- ეიფელის კოშკი; ამერიკაში –ემპაიერ სთეიდ ბილდინგი; აზიაში –ბურჯდუბაი; აფრიკაში – 5 ათასწლოვანი –ხეოფსის პირამიდა...

ალიონი. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, მსოფლიო (გინესის) მრავალგზის რეკორდსმენმა გოდერძი მახარაძემ მორიგი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან გაუმჯობესა 2011 წლის რეკორდი, თავით ბურთის ცალ ფეხზე მონაცვლეობით კენწვლის მისეული შედეგი (1200) და ამჯერად თავით ბურთი 1381-ჯერ აკენწლა.

ამ ღონისძიების ორგანიზატორები ქ. ოზურგეთის მერია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა ხელშემწყობი კავშირი– კლუბი „ვიორგი“ და ოზურგეთის სპორტული ორგანიზაციები გახლდათ.

გოდერძი მახარაძეს პირველებმა ახალი რეკორდის დამყარება მიულოცეს გურიის გუბერნატორმა გიორგი სალუქვაძემ, ქ. ოზურგეთის მერმა ბეგი სიორიძემ და მსოფლიო სარეკორდო მოძრაობა კლუბ „ვიორგის პრეზიდენტმა გვანჯი მანიამ.

გოდერძი მახარაძე 42 წლისაა. მძლეოსანი,

ფეხბურთელი, ფეხბურთის ბურთის ფლობის დიდოსტატი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მძლეოსნურ კროსსში და მსოფლიოს (გინესის) მრავალგზის რეკორდსმენი.

გოდერძი თავდაპირველად ფეხბურთს თამაშობდა, ჯერ ხობის „კოლხეთში,“ შემდეგ ნოვოროსიისკის „მინატეპში.“ თამაშის დროს მიღებული ტრამვებისა და მრავალგზისი ოპერაციების გამო დათმო დიდი სპორტი და „გადაარჩინა“ თავისი სპორტული მისწრაფება-სულისკვეთება: ფეხბურთის ბურთის ფლობის, თავით ფეხბურთის ბურთის კენწვლის სახეობაში მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენად მოგვევლინა. ამავე დროს სწავლობდა და წარმატებით დაამთავრა ბათუმის საზღვაო კოლეჯი, სახელმწიფო უნივერსიტეტი და სასოფლო-სამეურნეო აკადემია.

გოდერძი მახარაძის უჩვეულო სპორტული მიღწევები ფართოდ აისახა საქართველოსა და უცხოეთის მედიაში. გამოცემულია წიგნები, გადაღებულის ფილმები. არის ღირსების ორდენის კავალერი, ფიზიკის საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრი, სხვა მრავალი ტიტულისა და ჯილდოს მფლობელი. ამჟამად გოდერძის წარმატებათა ამსახველ საკონკურსო ფილმს იღებს რეჟისორი გოგი თორაძე– მრავალი მსოფლიო კინოფესტივალის გამარჯვებული - პარალელურად იქმნება მსოფლიო რეკორდსმენის ალბომი-მატიანე.

26 მაისს, გოდერძი მახარაძის მიერ ახალი რეკორდის დამყარებას ესწრებოდა მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა ხელშემწყობი კავშირი -კლუბი „თეთრი გიორგი-“ ს ხელმძღვანელი გვანჯი მანია, რომელმაც გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა:

– დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თქვენს გაზეთს, რომელიც ყოველთვის გვერდით უდგას გოდერძი მახარაძეს. ჩვენ ამ თემაზე ადრეც ვისაუბრეთ და ახლა მინდა ჩვენი კავშირის იდეის შესახებ საზოგადოებასაც გავუზიარო:

– ჩვენი რეკორდსმენი ნაკიან, ანუ ოლიმპიური თამაშების წელსა (1972, მიუნხენი) არის დაბადებული. მისი დაბადების თვე, რიცხვი (სექტემბერი,12) და ასაკი ოლიმპიურ ქრონოლოგიას – ძვ. წ. აღ 490 წლის 12 სექტემბერს, ბერძენთა მიერ მარათონის ველზე გამარჯვებას და აღორძინებული ოლიმპიური თამაშების პროგრამაში მარათონულ დისტანციას –42 კმ +195 მ ჩართვას უკავშირდება.

ასე გაჩნდა ახალი სიმბოლური იდეა-განაცხადი, რომ მშობლიურ გურიაში -ოზურგეთი-ლანჩხუთისა და ჩოხატაური-ურეკის შუაგულში, მდინარე სუფსის მარჯვენა ნაპირას, სადაც ერთმანეთს კვეთენ დედამიწის წარმოსახვითი წრეწირები – გრინვიჩიდან აღმოსავლეთით 42-ე მერიდიანი და 42-ე პარალელი, 42 წლის გოდერძი მახარაძემ გამართოს თავისი მორიგი სარეკორდო ასპარეზობა – გაუუჯობესოს ამერიკელი ჯეიმს ემერის მიერ (30.01. 2009) დამყარებული მსოფლიო რეკორდი –მუხლამდე წყალში ჩამდგარმა 7 წუთსა და 57:07 წამში თავით 1419-ჯერ აკენწლოს ფეხბურთის ბურთი!

ქართველი რეკორდსმენი მარად ახალგაზრდა სპორტსმენია. მისი ყველა სარეკორდო ასპარეზობა არის ლამაზი, საკვირველი და სახალისო სანახაობა – ახალი სიტყვა ფეხბურთის ბურთის ფლობის ისტორიაში.

ჩვენი იდეით დაინტერესდა გურიის ახალი გუბერნატორი გია სალუქვაძეკერობ ჩვენი იდეის განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონის პოპულარიზაციას და მასოფლიო ტურისტულ რუკაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიდებს ბინას.

სკანვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ვიქტორ სანეევი; მარილი რუსულად – სოლ; თაფლში ამოვლებული პური – ბოღლიწო; ფორთოხლის ჯიში – ვალენსია; თუთიყუში – რა; რკინის პატარა ნიჩაბი – ასტამი; შენ მეგრულად – ტი; მდინარე ციმბირში – ნია; პატარა დროშა – ალამი; საჭაპანო ტრანსპორტი – ურემი; ძლიერი კრუნჩხვა – კონვულსია; ანბანის პირველი ასო – ა; ჯარი – არმია; სახელმწიფო ევროპაში – სლოვენია; წერილობითი თხოვნა ხელისუფლებისადმი – აჯა; ერთი ინგლისურად – ვან; ქალაქი თურქეთში – ტრაპიზონი; ჭურიდან ღვინის ამოსაღები – ორშიმო; ქოფაკი – ავი; ხშირი ტყე – ტევრი; წებოც, საღებავიც – ემულსია; ნამცხვარი – შუ; ებრაელი მწერალი – აში; მოკლე კაბა – მინი; მომავალში – აწი; რძის ნაწარმი – დო; ზღვის პეიზაჟი – მარინა; მწვერვალი კავკასიონზე – უშბა; მარიგულირებელი კომისია შემოკლებით – სეწმეკი; ქალის სახელი – ელეონორა; სამეფო სუფრა – ნადიმი; ოქრთი ნაქარგი ქსოვილი – ადიმი; ავთვისებიანი სიმსივნე – მელანომა; ტერენტი გრანელის გვარი – კვირკველია; პატარა – ნორჩი.

ოზურგეთელი ღიმილის ბიჭები

„მოკვდი, მაგრამ სამშობლო და ღირსება არავის დაუთმო“

ამბობენ ომში წასვლა სამშობლოს დასაცავად უკვე გმირობაა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ბევრი ოზურგეთელი ღიმილის ბიჭი წავიდა. მათ ამ ქვეყნად მხოლოდ ერთი „დანაშაული“ აქვთ „დანაშაული არ დაბრუნების“.

აფხაზეთში 347 ახალგაზრდა წავიდა, მათ შორის გმირულად დაიღუპნენ: **ტარიელ მასარაძე** მონაწილეობდა სამხედრო მოქმედებებში – ოჩამჩირეში, ლაბრაში, კინდღში, სადაც დაიღუპა დესანტის ჩამოგდების დროს 1993 წლის 2 ივლისს. 21 ივლისს კი 22 წელი შეუსრულდებოდა, დოვკახება ვერ მოასწრო, ვერ ეღირსა ამ ბედნიერებას. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებული იქნა ვახტანგ გორგასალის მეორე ხარისხის ორდენით.

აკაკი მიმინოშვილი – ამონარიდი ეთერ ქადეიშვილის წიგნიდან „ისმოდეს საქართველოში...“ ცხემლისხიდელი აკაკი მიმინოშვილი საბჭოთა არმიიდან დაბრუნებული „გამნაღმველის“ წოდებით 1993 წლის 14 მარტს ჟურნალისტებთან ერთად წავიდა ბომბ „სიურპრიზის“ გასანაღმვად და წარწერის გადასახებად რომ ბომბი რუსული წარმოების იყო მოხვდა ტრაგედია. ოდნავ შეხება და ბომბი აფეთქდა (ბომბი „სიურპრიზი“ ჩამოგდების დროს არ ფეთქდება) 19 ადამიანი ფერფლად იქცა.

მამუკა ცეცხლაძე დაიბადა სოფელ ლიახაურში, 21 წლის ასაკში სამშობლოს დასაცავად წავიდა. დაიღუპა 1993 წლის 14 ივლისს, სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასალის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვეს.

გოჩა სალუქვაძე. ძმები გოჩა და ზაზა სალუქვაძეები აფხაზეთში ერთად წავიდნენ. ძმები ერთმანეთის გვერდით იბრძოდნენ. გოჩა დაიღუპა, მძიმედ დაჭრილი ზაზა კი მკურნალობდა ,მაგრამ მალე გარდაიცვალა. ომმა შეიწირა ორი ლიახაურელი ძმის სიცოცხლე.

ზურაბ წიქარიძე. ნაგომრიელი ახალგაზრდა მტერს ისე უსწორდებოდა რომ ერთ დღეს 17 მოწინააღმდეგე გაანადგურა, სამაგიერო იმით გადაუხდეს რომ დაჭრილი ბიჭი ცოცხლად დაწვეს. სოხუმის ბატალიონის მებრძოლი ზემდეგი ზურაბ წიქარიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“

ხვიჩა ღლონტი დაიბადა სოფელ მელექედურში 1970 წელს. მისი ძმა ზვიადი სამხედრო სამსახურს იხდიდა თბილისში, რომლის ნაწილიც სოხუმში გაგზავნეს. ეს რომ ხვიჩამ გაიგო მე სახლში რა მინდა, ასე აღმოჩნდა ბრძოლის წინა ხაზზე, მტრის ტყვიამ იმსხვერპლა ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე.

გოჩა შილაკაძე – წითელმთიელი გოჩა მშობლებს გაეპარა და მოხალისედ წავიდა აფხაზეთში. აფხაზეთში ჩასვლისთანავე დავალებაზე გასული ბატალიონის მისაშველებლად მიმავალნი აფხაზმა სეპარატისტებმა სოფელ ლაბრაში ალყაში მოიქცეს. ვაჟკაცურად იბრძოდნენ, მაგრამ სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა.

დიმიტრი თალაკვაძე. დაიბადა დაბა ნასაკირალში. 1988 წლიდან ეროვნულ მოძრაობაშია. 1990 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. იგი დაზვერვის კაპიტანი იყო. 1992 წელს სოხუმის მისადგომებთან დაიღუპა.

ედუარდ თავაძე. დაამთავრა ნასაკირალის საშუალო სკოლა და გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. მამაცურად იბრძოდა აფხაზეთში. დაიღუპა ოჩამჩირეში 1993 წელს. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებული იქნა ვახტანგ გორგასალის მეორე ხარისხის ორდენით.

არტურ ავაზიანი. დაიბადა 1973 წელს. ნასაკირალის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. 20 წლის ახალგაზრდა 1993 წლის 12 სექტემბერს გმირულად დაიღუპა შრომაში. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვეს ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

ზურაბ ჭელიძე. დაიბადა ა სოფელ მთისპირში. სკოლის დამთავრების შემდეგ წავიდა აფხაზეთის ომში. დაიღუპა 1993 წლის 14 მარტს ტამიშთან ბრძოლებში.

ბორის მარგველანი. იბრძოდა „ავაზას“ სახელგანჭრულ ბატალიონში. ბევრჯერ ჩახედა სიკვდილს სახეში. ბევრი მეომარი და იქაური მაცხოვრებელი გამოიყვანა სამშვიდობოს და სიცოცხლე შეუნარჩუნა. სამწუხაროდ სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა მისი სიცოცხლე.

დავით ტოგონიძე. დაიბადა არგვეთში. საჩხერის მიწისძვრის დროს ოზურგეთში გადმოვიდა საცხოვრებლად. მშობლები ადრე გარდაეცვალა. მოხალისედ ჩაეწერა შავნაბადას ბატალიონში. იბრძოდა აფხაზეთში. დაიღუპა სოხუმთან 1993 წლის 6 მარტს.

სნაიპერი „შმაგა „ასე იცნობდნენ **ნიკა იმნაძეს.** დაიბადა დაბა ურეკში 1973 წლის 20 ნოემბერს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩოლოყაშვილის ბატალიონში მოხვდა . იბრძოდა ჯერ სამაჩაბლოში, შემდეგ აფხაზეთში. როგორც უშიშარს მეტსახელად „შმაგა“ შეარქვეს. ერთი ეპიზოდი მისი საბრძოლო ცხოვრებიდან,1993 წელი ლაბრასთან მტერმა 70 კაცი ალყაში მოაქცია, ისინი სნაიპერ „შმაგას“ ეძებდნენ, მეგობრები მის გაცამას არ აპირებდნენ, მაგრამ იგი უშიშრად გამოვიდ ადა სიკვდილს ვაჟკაცურად შეხვდა.

ჯონდო ვასაძე. 21 წლის მერიელი ახალგაზრდა სამშობლოს დასაცავად წავიდა აფხაზეთში. დაიღუპა სოხუმთან 1992 წლის 17 ავგისტოს. ხუთი ოზურგეთელი ვაჟკაცის სიცოცხლე შეწყდა იმ დღეს შეტაკების დროს. მათ შორის სამი მერიელი: **მერაბი, ბესარიონი და ჯონდო ვასაძეები.** მერაბი და ბესარიონი ოზურგეთის გვარდიის შემადგენლობაში იყვნენ.

ჯემალ დუმბაძე. დაიბადა 1969 14 ნოემბერს ლაითურში. სავალდებულო სამხედრო სამსახური გაიარა ჩეხოსლავაკიაში. აფხაზეთის ომში მოხალისედ წავიდა. პირველი საბრძოლო მადლობა მიიღო გაგრა ლესელიძის მიმართულებით. უთანასწორო ბრძოლისას

„შავნაბდას“ 130–კაციანმა ჯგუფმა უკან დაიხია, ჯემალი სნაიპერი იყო, ხელიდან არ გაუშვა ხუთკილოგრამიანი საბრძოლო იარაღი ბიჭებს ჩამორჩა და მეგობრებს დაღუპული ეგონა, მაგრამ გადარჩა. 8 ოქტომბერს მთლიანად გაჭაღარავებული დაბრუნდა სახლში, იგი სახლში დიდხანს არ გაჩერებულა და ისევ ბრძოლებში ჩაება. 15 ივნისს დაიღუპა ტამიშთან. სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასალის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვეს.

ირაკლი ბაქანიძე დაიბადა სოფელ ნატანებში, სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ჩაირიცხა შინაგან ჯარში. მალე გადავიდა ქვედანაყოფ „ლამურას“ ნაწილში. აღნიშნული ნაწილი აფხაზეთისკენ უნდა გამგზავრებულიყო, ოჯახმა არ იცოდა, შემთხვევით თბილისში შემხვედრ მეზობელს დაუბარა: კაკო, ხვალ ომში მივდივარ თუ ვერ დავბრუნდი, გმირულად ვიქნები დაღუპულიო. ეს წინასწარმეტყველება ახდა, დაიღუპა კოჩარასთან ოჩამჩირის რაონში (ეთერ ქადეიშვილი – „ისმოდეს საქართველოში...“)

ბესარიონ ვასაძე. მერიის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში აფხაზეთის ომის დაწყებისთანვე სამშობლოს დამცველთა რიგებში. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი საბრძოლო გზა. დაიღუპა 1992 წლის 17 ავგისტოს სოფელ ლაბრასთან (სოხუმი).

თეიმურაზ ჩხარტიშვილი – სწავლობდა ჯუმათში შემდეგ გადავიდა თბილისში და დაამთავრა

თბილისის პირველი საშუალო სკოლა. სწავლობდა ხარკოვის საავაციო სკოლაში. მუშაობდა თბილისის ავიაკომპანიაში. იყო ’ტუ –154“–ის ავიალაინერის შტურმანი. 1992 წლის 19 ოქტომბერს მოხალისედ ჩაირიცხა ბატალიონ “თბილისში“ .იმავე წლის 7დეკემბერს თავის არეში დაიჭრა ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე .ბევრი ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ამაოდ. გარდაიცვალა 1995 წლის ოქტომბერში. დაკრძალულია თბილისში მუხათგვერდის სასაფლაოზე.

თამაზ რამიშვილი დაიბადა ნასაკირალში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1992 წლიდან აფხაზეთის საბრძოლო ოპერაციებში ჩაება. დაიღუპა იმავე წლის 13 დეკემბერს სოხუმის მისადგომებთან.

გრიგოლ გოგოლაშვილი დაიბადა 1961 წელს დაბა ლაითურში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ოზურგეთის კვების მრეწველობის ტექნიკუმში. მუშაობდა ოზურგეთის ნევოთბაზაში. რეზერვისტად გაიწვიეს 1992 წლის 24 სექტემბერს, იბრძოდა სოხუმთან, გაგრა, განთიადი, ლესელიძე, დაიღუპა ბზიფის ხეობაში.

ლევან ბერაძე. სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს ჯარში მსახურობდა ავღანეთში. ბავშობიდან გამბედავი იყო. მისი ბიძაშვილის მოგონება: მეათე კლასში იყო როდესაც უცნობი წყალში დახრჩობას გადაარჩინა, როცა მან თავადაც ცურვა კარგად არ იცოდა. აფხაზეთში ბოლომდე იბრძოდა. იმ სასტიკ წუთებშიაც კი არ მიატოვა ჟიული შარტავა და სხვა მებრძოლები. ის გმირულად დაიღუპა 1993 წლის 27 ოქტომბერს.

ზაზა დამენიას გმირობა–ზაზა 1992 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურურში. იგი წვრთვნისა და აღჭურვის პროგრამის გამარჯვებული კონტრაქტორი ჯარისკაცი იყო. იგი სამაჩაბლოს ომის გმირია. დაზვერვის ცუდი მუშაობის გამო, გამო მტრის მზვერავებმა ქართველთა სანგრებს ათიოდე მეტრში მიუახლოვდნენ და იქიდან ყრიდნენ ყუმბარებს. ასეთ ყუმბარებს ემსხვერპლა ზაზა. 2004 წლის თექვსმეტ აგვისტოს იგი ხელყუმბარას მკერდით გადაეფარა და თავისი სიცოცხლის ფასად თანამებრძოლები იხსნა და უამრავი საბრძოლო ტექნიკა და ტყვია –წამალი აფეთქებას გადაარჩინა. სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის ერო-ვნული გმირის უმაღლესი წოდება მიენიჭეს სიკვდილის შემდეგ. დაკრძალულია ოზურგეთის ცენტრალურ სკვერში სადაც აღმართულია 39 ოზურგეთელი ომში დაღუპული გმირების მემორიალი.

2008 წლის აქვისტოს ომში ოზურგეთიდან 89 ახალგაზრდა მონაწილეობდა, მათ შორის სამი მათგანი **ზაურ თენიეშვილი, თემურ ჭიტაძე, თამაზ ნიკიტინი** გმირულად დაიღუპა.

ზაურ თენიეშვილი ცეცხლის წინა ხაზზე იმყოფებოდა, იგი ზნაურის რაიონში იბრძოდა. თავისი სიცოცხლის ფასად საგმირო საქმეებს ჩადიოდა. სამი დაჭრილი მეომარი გამოიყვანა ცეცხლის ხაზიდან. სწორედ ამ დროს უწია სნაიპერის ტყვიამ. ზაურ თენიეშვილი 2009 წლამდე უცნობი ჯარისკაცის გვერდით უგზოუკვლოდ დაკარგოლად ითვლებოდა. დაკრძალულია მუხადგვერდის სასაფლაოზე. მისი ვინაობა დნმ–ის ანალიზით დადგინდა. ზაურ თენი-ეშვილი მხედრული მამაცობისათვის სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასალის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვეს.

ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმის ომების საგამოფენო დარბაზში გაკეთდება სპეციალური კუთხე, რომელიც მიეძღვნება ერთიანი საქართველოსათვის დაღუპული ბიჭების ხსოვნას.

მანანა ლომაძე
ისტორიული მუზეუმის
ფონდების მთავარი მცველი

გურული ფირალების ცხოვრებიდან

მძლავრობა ავაზაკებისა და კომიტეტისა

ენვერ გოგუაძე



კრილოვის სასტიკობამაც უნაყოფოდ ჩაიარა, მან ვერ მოდრიკა, როგორც ის ფიქრობდა, გურია. ნერვებაშლილი, მოქანცული, მოღალული, იგი იძულებული გახდა, მიეტოვებინა თავისი პოლკი, გურია და გაბრუნებულიყო კიევში. „შეშინებული, რომ არ მოეკლათ, ნამალევად ჩაიყვანეს ბათუმში და ნამალევად ღამით მიიყვანეს ზღვაში გაჩერებულ გემს, ჩასვეს და გაისტუმრეს, საიდანაც იყო მოსული“.

კომიტეტისა და ტერორისტებისაგან მოსალონელი მომაკვდინებელი შიშის ცხოველი გამოხატულებაა ე.წ. „გურიის რესპუბლიკის საქმე“, თენგიზ ჟღენტის გადმოცემით: „ამ საქმის გამოძიება, როგორც ცნობილია, მინდობილი ჰქონდა განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელს ს. სიონკევიჩს. „გურიის რესპუბლიკის მონაწილეთ“ ბრალს სდებდნენ ცნობილ 102 სტატიით (სპეციალური ორგანიზაციის შექმნა თვითმპყრობელობის დასამხობად შეიარაღებული საშუალებით). ბრალდებულნი წინასწარი პატიმრობის სახით, ციხეში ისხდნენ სამ წელიწადს, ბოლოს დიდი ხნის ლოდინის შემდეგ სასამართლომ დაადგინა: „გურიის საქმის წარმოება შეწყდეს და გადაიდოს ახალ განკარგულებამდე“. სამოსამართლო პალატის წევრებს აშინებდათ ის გარემოება, რომ პროცესის შემდეგ გურიის რევოლუციონერები მათ ტერორით უპასუხებდნენ. ამის გამო პალატამ შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის მინისტრის წინაშე, რათა საქმე გადაეტანათ, რუსეთის რომელიმე ქალაქში, მთავრობამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და საქმე გადაეცა ოდესის სასამართლო პალატას.

ე. ი. სწორედ იმ ქალაქის სასამართლო უწყებას, საცა გრადონაჩალნიკად იმყოფებოდა გურულ ტერორისტთა რისხვა-გენერალი ტოლმაჩოვი. 1908 წელი. ქალაქ ოდესაში ეტაპით ჩაჰყავთ განსაკუთრებული ბადრაგით გარემოცული „გურიის რესპუბლიკის“ უმთავრესი ხელისუფალნი: **ბენია ჩხიკვიშვილი, ნესტორ ერქომაიშვილი, გიორგი მამულაიშვილი, ანტონ ლომჯარია, მოსე ტულუში, სიმონ ტოტოჩავა, სერგო სურგულაძე, პარმენ თოთიბაძე, სიმონ ღლონტი, კარლო ლომაძე** და სხვანი.

მსჯავრდებულთ ნავსადგურში დაუხვდათ მათი უმთავრესი მოქიშპე გენერალი ტოლმაჩოვი, თავისი „ამალით“ და ჟანდარმ-პოლიციელთა რაზმით. იმავე თენგიზ ჟღენტის გადმოცემით:

„მეამბოხენი გემიდან ციხემდე ისეთი ამბავით მიჰყავდათ, გეგონებოდათ ველური რაზმი მოუმწყვდევიათ შუაში, ეშინიათ ხელიდან არ გაგვისხლტნენ და მთელი ოდესა არ აიკლონო... ბრძანება გასცეს: შეგვატყობინოს სასამართლო პალატამ, ვის ანდობენ მათი საქმის გარჩევასო, რადგან (საქმის გამრჩევთა) სიცოცხლე უზრუნველყოფილი ვერ იქნებაო, საბრალდებულო ოქმის ჩასაბარებლად სასამართლოს მდივანი 12 გარადავით მიბრძანდა ციხეში... რევოლვერებით ხელში ჩაამწკრივა ყველა, შემდეგ გაბედა ბრალდებულთა გამოწვევა კამერიდან, მაგრამ დაჩეთ მის განცვიფრებას, რომ ველურების ნაცვლად ოთახში შემოვიდნენ ჩვეულებრივი ინტელიგენტური შეხედულების ადამიანები. მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა და ეს კიდეც გაუზიარა გურულებს და მოხსნა „ყოროდოვოები“.

„გურიის რესპუბლიკაში“ მთავრობის ძალებზე გურული რევოლუციონერებისა და ტერორისტების ზემოქმედების შესახებ გაზეთი „ოდესკი ლისტოკ“ წერდა:

„ერთ დროს ეს ჯგუფი თარეშობდა ოზურგეთის მაზრაში, მათ ამოხოცეს ერთი ნაწილი მოხელეებისა, სხვებს იარაღი ჩამოართვეს, ჩაიგდეს ხელში მაზრის მართვა-გამგეობა, სტაცებდნენ მემამულეებს მიწებს, ახდევინებდნენ მცხოვრებლებს სამხედრო ბეგარას თითო აბაზს ხელზე, ხელმძღვანელობდნენ ყოველგვარ თავდასხმებს“.

„გურიის რესპუბლიკის“პროცესზე მოწმეებად გამოძახებულნი ოზურგეთის მაზრის ყოფილი უფროსი ლაზარენკო და ბოქაულად ნამყოფი კოწია ბერიძე. შემაშფოთებელ ჩვენებებს იძლეოდნენ პროცესზე. ლაზარენკომ ბრალი დასდო კომიტეტსა და მასზე დაქვემდებარებულ ტერორისტებს.

კომიტეტის მოქმედება გაძლიერდა 1905 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე. კომიტეტის მოქმედება გამოიხატა შემდეგში, მან მოაწყო შეიარაღებული თავდასხმა ნასაკირალზე 1905 წლის 21 ოქტომბერს.

კომიტეტისა და ტერორისტების უმთავრეს ძალას ყოვლის მომდრეკსა და დამთრგუნველს, გარდა ტერორისტული აქტებისა, წარმოადგენდა ეკონომიური ბოიკოტი ძალზე ხშირად უფრო მეტი დამანგრეველი ძალით მოქმედებდა

„ბოიკოტთა მსჯავდებელზე“ ვიდრე თვით სასიკვდილო ტერორისტული აქტი, რადგან ტერაქტი ცალკეულ „კლასობრივ მტერსა“ და „რეაქციის წარმომადგენლის“ უსწორებდა ანგარიშს,

ხოლო ბოიკოტის სტრატეგია და ტაქტიკა გამოიყენებოდა მთელი ოჯახის, მთელი კომლის, ზოგჯერ მთელი საგვარეულოს მიმართ.

(გაგრძელება იქნება)

(დასაწყისი ალიონი №13-21)

გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. გისურვებთ ბედნიერ ბავშვობას, წარმატებებს მომავალ ცხოვრებაში. მშობლებმა ერთად უნდა იზრუნონ ბავშვის ჯანმრთელობაზე! ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს ცხოვრების სათანადო პირობები და ისინი შესაფერის გარემოში უნდა იზრდებოდნენ!

დავით მდინარაძე,
შპა „მედალფას“ ოზურგეთის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი.

„ჩვენო პატარებო! გილოცავთ ბავშვთა დაცვისსაერთაშორისო დღეს. გისურვებთ ბედნიერებას და ულევ სიხარულს. უფალმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

ლაშა კუტალაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოვზინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი.

ვულოცავ ყველა ბავშვს მათი დაცვის საერთაშორისო დღეს. ვუსურვებ ჯანმთელობას, უზრუნველ მომავალს. თქვენი ცოდნა და განათლება ყოფილიყოს თქვენი ბედნიერიერად ცხოვრების საწინდარი.

დავით მდინარაძე,
ბავშვთა სამკურნალო ცენტრის დირექტორი.

მხატვარ შოთა დარჩიას სახელობითი „ოქროს პალიტრა“ გაიხსნა



ალიონი. ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრი-სურათების გალერეა 2013 წლიდან ახორციელებს პროექტს „ამაგდარი მხატვრები“, რომლის ფარგლებში ეწყობა მხატვრების პერსონალური გამოფენა, კატალოგის გამოცემა და სახელობითი „ოქროს პალიტრის“ გახსნა. გალერეის წინ უკვე გახსნილია მხატვრების ვახტანგ მამეიშვილისა და აწ გარდაცვლილი ლადო მალაზონიას სახელობითი „ოქროს პალიტრა“.

26 მაისს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის აწ. გარდაცვლილი მხატვრის შოთა დარჩიას პერსონალური გამოფენა და მხატვრის სახელობითი „ოქროს პალიტრა“ გაიხსნა.

საგამოფენო დარბაზში გამოფენილმა 110 ფერწერულმა, გრაფიკულმა, სცენოგრაფიულმა ნამუშევარმა მოხიბლა ოზურგეთელი საზოგადოება. უდიდესია მხატვრის შემოქმედება როგორც ხელოვნების, ასევე ეთნოგრაფიული, ისტორიული, ესთეტიური თვალსაზრისით. გურული ხასიათი და ყოფა, ისტორიული მოვლენები და პერსონაჟები, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, ნატურმორტები. საინტერესოა ოჯახური პორტრეტები. დედამამა სხვადასხვა ასაკში, შვილები, მეუღლე, „მუზა“...

გამოფენა ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძემ გახსნა, ისაუბრა ხელოვანის შემოქმედებაზე : - აქ წარმოდგენილი ექსპოზიცია მცირე ნაწილია მხატვარ შოთა დარჩიას შემოქმედებისა. არაჩვეულებრივი გრაფიკული ხაზები, კოლორიტული პეიზაჟები გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენს. ბატონი შოთა მხატვრობაში გასული საუკუნის 30-იან წლებში შემოვიდა. იგი ჩვენი თეატრის მთავარი მხატვარი იყო წლების განმავლობაში და ათეულობით სპექტაკლი გააფორმა.

ვახტანგ მამეიშვილი: -ისე წავიდა ბატონი შოთა ამ ქვეყნიდან, მისი ბრწყინვალება ვერავინ დაინახა. მან სათავე დაუდო დარჩიების დინასტიას მხატვრობის დარგში. დღეს, 25 წლის წინ გარდაცვლილი მხატვარი ოზურგეთს დაუბრუნდა.

გამოფენის მნიშვნელობასა და მხატვრის შემოქმედებაზე ისაუბრეს გალერეის დირექტორმა, მხატვარმა ავთანდილ თავართქილაძემ, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, გურიის მხარის რწმუნებულმა გია სალუქვაძემ, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ბეგლარ სიორიძემ, თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ, თეატრის რეჟისორმა ვასილ ჩიგოგიძემ, ჟურნალისტმა ეთერ ქადეიშვილმა...

შოთა დარჩია დაიბადა 1922 წელს ოზურგეთში. დაამთავრა ოზურგეთის №1 საშუალო სკოლა. 1930 წელს

ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. ოზურგეთის კინოთეატრის მხატვარ რეკლამიორი, სამხატვრო სახელოსნოს გამგე, ხატვის პედაგოგი, 1956 წლიდან თავის შემოქმედებას თეატრს უკავშირებს. იგი სპექტაკლებს აფორმებდა ასევე ბათუმის, ფოთისა და ზუგდიდის თეატრებში.

ხელოვნებისადმი სიყვარული ოჯახიდან დაიწყო. ხელოვანის გენმა შვილებში გადაინაცვლა. ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს მხატვარ ძმებს, გია და თამაზ დარჩიებს, მათ შემოქმედებას. დარჩიათა ოჯახის მომდევნო თაობებშიც უკვე ფესვიანობს ნიჭი ხელოვნებისა.

კატალოგი, რომელსაც 61 ნამუშევარი ამშვენებს, მხატვრის ლექსით სრულდება, ეს მისი ნახატებია, სიტყვათა კონაში მოქცეული, სადაც ასევე გურული ყოფაა ჩახატული.

ჯანყი გურიაში (ტილო, ზეთი)

კალანდა (მუყაო, ზეთი)

7 დღის ამინდის პროგნოზი

1 ივნისი ორშაბათი	2 ივნისი სამშაბათი	3 ივნისი ოთხშაბათი	4 ივნისი ხუთშაბათი	5 ივნისი პარასკევი	6 ივნისი შაბათი	7 ივნისი კვირა
მზე, ღრუბელი +15+22	მზე, +19+26	მზე, ღრუბელი +17+26	მზე, ღრუბელი +16+23	მზე, ღრუბელი +16+23	მზე, ღრუბელი +18+25	წვიმა +16+26